საქართველო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს ფრაქცია

ტელ: +995 (0) 32 228 54 48, ელ.ფოსტა contact@sca.ge, ბაქვი, ბ. მეგენეიშვილის ქ. №25

----------2017წ.

N----------

აჭარის ავტონოლიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარეს
ბატონ დავით გაბაიძეს

ბატონო დავით,

წარმოგიდგენთ ,,ფრაქცია ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"-ს მიერ მომზადებული მიმართვის პროექტს. გთხოვთ განხილული და მიღებული იქნას რეგლამენტით დადგენილი წესით.

პატივისცემით,
ელგუჯა ბაგრატიონი
ფრაქციის თავმჯდომარე

საქართველოს საკანონმდებლო მაუწყებელი
საქართველოს უმაღლესი საბჭოს აპარატი
№ 09-01-03/76
12 - 06 - 2017
3 ფურცელი

მიმართვა

საქართველოს პრეზიდენტს, საქართველოს მთავრობას, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობას

ბოლო პერიოდში აჭარის რეგიონიდან ხეების გადარგვის გამო მნიშვნელოვანი ზიანი მიადგა გარემოსა და ბუნებას. ერთი ხის გადარგვისას იჭრება ათეულობით ხე, მათ შორის წითელ წიგნში შეტანილი ასწლოვანი წაბლის ხეები, გაიჩეხა ქარსაცავი ზოლები, მიწის ნაკვეთებზე გაჩენილი ღრმულებისა და ეროზიების გამო შესაძლოა განვითარდეს მეწყრული პროცესები, მახინჯაურში ჩაქვსა და ციხისძირში დაზიანდა სანაპირო ზოლი.

შექმნილი კატასტროფული მდგომარეობის გამო მიგვაჩნია:

1. აჭარის მთავრობამ დაუყოვნებლივ მოახდინოს რეაგირება და აიკრძალოს ხეების გაჩეხვა;
2. გარემოს დაცვის სამმართველომ:
   ა) შეისწავლოს ხეების გადარგვის გამო ბუნებრივ გარემოზე მიყენებული ზიანის საკითხი და წარმოადგინოს დასკვნა;
   ბ) დასკვნის საფუძველზე სამუშაოთა მწარმოებელ კომპანიებზე წარდგენილი იქნას ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა კანონმდებლობით დაგენილი წესით;
3. აღიკვეთოს ბუნებრივ გარემოზე ნებისმიერ სახის ზიანის მიყენების მცდელობა და განხორციელდეს მკაცრი რეაგირება შესაბამისი სამსახურების მიერ;
4. მიმართვა გაეგზავნოს საქართველოს პრეზიდენტს, საქართველოს მთავრობას, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობასა და შესაბამის საჯარო დაწესებულებებს;

განმარტებითი ბარათი

ბოლო პერიოდში აჭარის რეგიონიდან ხეების გადარგვის გამო მნიშვნელოვანი ზიანი მიადგა გარემოსა და ბუნებას. ერთი ხის გადარგვისას იჭრება ათეულობით ხე, მათ შორის წითელ წიგნში შეტანილი ასწლოვანი წაბლის ხეები, გაიჩეხა ქარსაცავი ზოლები, მიწის ნაკვეთებზე გაჩენილი ღრმულებისა და ეროზიების გამო შესაძლოა განვითარდეს მეწყრული პროცესები, მახინჯაურში ჩაქვსა და ციხისძირში დაზიანდა სანაპირო ზოლი.

2017 წლის 5 თებერვალს საპატრულო პოლიციის მიერ უკანონიდ დაკავებული იქნა უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ელგუჯა ბაგრატიონი და ქობულეთის საკრებულოს წევრი ბონდო თედორაძე, როდესაც თანაგუნდელებთან ერთად აპროტესტებდნენ ბიძინა ივანიშვილის მიერ ხეების გადატანის პროცესში უკანონოდ ბათუმი ქობულეთის მაგისტრალის გადაკეტვას. ელგუჯა ბაგრატიონი აღნიშნავს, რომ გადამზიდავი კომპანიის პოზიცია იყო რომ მათ არ უჭირთ ჯარიმის გადახდა და რა დროითაც დაჭრდებოდათ გადაკეტავდნენ გზას, საპატრულო პოლიციის უფროსის პოზიცია კი იყო რომ მათ დააჯარიმეს კომპანია და სხვა ვერაფერს გააკეთებდნენ, მაშინ როცა ისინი ვალდებული იყვნენ ემოქმედათ და გაეთაქვისუფლებინათ ავტომაგისტრალი, უფრო მეტიც საპატრულო პოლიციის წარმომადგენლები დამალული იყვნენ მოსახვევებში და აჯარიმებდნენ მძღოლებს, რაც 90-იანი წლების პოლიციურ რეჟიმს გვაგონებს. საეჭვო იყო ქართული ოცნების ატივისტისა და მხარდამჭერის თენგიზ ლეონიძის გამოჩენა, რომელმაც შეურაცხმყოფელი სიტყვებით მიმართა უმაღლესი საბჭოს დეპუტატს, რაზედაც საპატრულო პოლიციას რეაგირება არ მოუხდენია, პირიქით დააკევეს ელგუჯა ბაგრატიონი და ქობულეთის საკრებულოს წევრი ბონდო თედორაძე.

შექმნილი მძიმე მდგომარეობა უარყოფითად აისახება რეგიონზე და მის ბუნებრივ გარემოზე. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე მიზანშეწონილია უმაღლესმა საბჭომ მიიღოს მიმართვა, რაც შემდგომში გამორიცხავს ბუნების განადგურებას და ბუნებრივ კატასტროფებს.

საქართველო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს აპარატი

ტელ: +995 (0) 32 228 54 48, ელ.ფოსტა contact@sca.ge, ჩაქვი, ბ. მეგენეიშვილის ქ. №25

13/06/2017
N 1604

1604-09-02-11-3-201706131523

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აპარატის
საორგანიზაციო და საქმისწარმოების დეპარტამენტის უფროსს
ბატონ გიორგი ბერიძეს

დ ა ს კ ვ ნ ა

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მიერ წარმოდგენილ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მიმართვის პროექტთან დაკავშირებით - ,, საქართველოს პრეზიდენტს, საქართველოს მთავრობას, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობას,,
(რეგ N 09-01-08/36. 12.06.2017წ)

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის მე-80 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აპარატის იურიდიული და საკადრო საკითხთა დეპარტამენტის მიერ განხილულ იქნა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მიერ წარმოდგენილი ,,საქართველოს პრეზიდენტს, საქართველოს მთავრობას, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობას,, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მიმართვის პროექტი.

წარმოდგენილი მიმართვის პროექტი არ შეესაბამება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის 79-ე მუხლით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, კერძოდ: აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის 94-ე მუხლის თანახმად, უმაღლესი საბჭოს რეზოლუცია, მიმართვა, განცხადება განიხილება და მიიღება დადგენილების განხილვისა და მიღებისთვის ამ რეგლამენტით განსაზღვრული წესით. თავის მხრივ, რეგლამენტის 79-ე მუხლის მე-2 პუნქტი განსაზღვრავს, თუ რა უნდა იყოს ასახული განმარტებით ბარათში. მოცემულ შემთხვევაში, მიმართვის პროექტზე თანდართული განმარტებითი ბარათი არ არის შედგენილი აღნიშნული მოთხოვნების შესაბამისად.

მაია ხაჯიშვილი

დეპარტამენტის უფროსი

იურიდიული და საკადრო საკითხთა დეპარტამენტი